პროექტი „დავიცვათ საქართველოს სისუფთავე“

ესსეების III კონკურსი, უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის გარემოს დაცვით საკითხებზე, დაიწყო!

საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირი „ორქისი“, შვედეთის მთავრობის ფინანსური უზრუნველყოფით, პროექტის „დავიცვათ საქართველოს სისუფთავე“ ფარგლებში, აცხადებს ესსეების კონკურსს თემაზე „**საქართველო-მდგრადი განვითარების მიზნები და მასთან დაკავშირებული გამოწვევები ნარჩენების მართვის სფეროში**“ რომელიც მიზნად ისახავს, ახალგაზრდების თვალით დანახული, გარემოს დაცვის საკითხების და მდგრადი განვითარების მიზნების პოპულარიზაციას და მათი ჩართულობის გაზრდას.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს.

ესსეების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2021 წლის 30 ივნისი, 18.00 საათი, ხოლო გამარჯვებულების ვინაობა 2021 წლის 3 აგვისტოს გახდება ცნობილი. ესეი უნდა შეადგენდეს 5-7 გვერდს.

კონკურსის ფარგლებში გამოვლინდება 2 გამარჯვებული (I და II) თითოეულ თემაზე, რომელთაც გადაეცემათ ფულადი ჯილდო 500 და 400 ლარის ოდენობით.

ესსეების სათაურებია:
„მდგრადი განვითარების მიზნები და მასთან დაკავშირებული გამოწვევები ნარჩენების მართვის სფეროში“
ან
„რას ნიშნავს მდგრადი განვითარება, მომავალი რომელიც გვსურს“

ესეიში „**მდგრადი განვითარების მიზნები და მასთან დაკავშირებული გამოწვევები ნარჩენების მართვის სფეროში**“ უნდა აღიწეროს: რა გამოწვევების წინაშე დგას ქვეყანა მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის თვალსაზრისით ნარჩენების მართვის სფეროში; როგორ არის ასახული პოლიტიკის დოკუმენტში და სამოქმედო გეგმაში მდგრადი განვითარების მიზნებით გათვალისწინებული ინდიკატორების მისაღწევად საჭირო ღონისძიებები; რა ქმედებები უნდა განხორციელდეს ნარჩენების (საყოფაცხოვრებო ნარჩენების) მართვის ეფექტიანი სისტემის დასანერგად, მდგრადი განვითარების მიზნებით გათვალისწინებული ინდიკატორების მისაღწევად; განსახორციელებელი /განხორციელებული ქმედებები; უკვე მიღებული/მისაღები დადებითი ან უარყოფითი შედეგები; ანალიზი დასკვნებითა და რეკომენდაციებით.

ესეიში **„რას ნიშნავს მდგრადი განვითარება, მომავალი რომელიც გვსურს“**
უნდა აღიწეროს, რას ნიშნავს თქვენი აზრით მდგრადი განვითარება ნარჩენების მართვის თვალსაზრისით. რა შეიძლება იყოს საქართველოს წვლილი მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად (ნარჩენების მართვის სექტორში). როგორია საზოგადოების როლი, რა უნდა გაკეთდეს -განვითარებული ქვეყნების გამოცდილება-მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად: გარემოს დაცვის თვალსაზრისით, სიღარიბის დაძლევის თვალსაზრისით, ჯანმრთელობის მხრივ სარგებელი და ა.შ. რა ქმედებები უნდა განხორციელდეს საზოგადოების მხრიდან, რაც ხელს შეუწყობს ნარჩენების მდგრადი მართვის სისტემის შემუშავება/დანერგვას. სასურველია შემოთავაზებული იქნეს საგანმანათლებლო/ცნობიერების ამაღლებისათვის განკუთვნილი მასალა, საზოგადოების რომელიმე კონკრეტული ჯგუფისთვის.

თემა მოიცავს შემდეგ კონტექსტს:
მოკლე ინფორმაცია. მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) კონცეფცია პირველად იქნა ნახსენები/განმარტებული 2012 წელს გაერთიანებული ერების მდგრადი განვითარების კონფერენციაზე რიო +20.

2015 წლის 25 სექტემბერს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ (გაერო) მიიღო რეზოლუცია „ჩვენი მსოფლიოს ცვლილება: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის“ და დაამტკიცა მდგრადი განვითარების 17 მიზანი (SDG) და მასთან დაკავშირებული 169 ამოცანა. SDGs შემუშავებაში მონაწილეობდნენ გაეროს წევრ ქვეყანათა მთავრობების, საკანონმდებლო ორგანოების, სამოქალაქო საზოგადოების, კერძო სექტორისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

საქართველოში SDG ნაციონალიზაციის პროცესი 2015 წელს დაიწყო. ქვეყანას ნაციონალიზებული აქვს SDG-ის 17-ივე მიზანი, 95 ამოცანა 169-დან და 215 ინდიკატორი 244 გლობალური ინდიკატორიდან.

დღეისათვის ნარჩენების მართვის სექტორში მოქმედი კანონმდებლობა და სტრატეგიული დოკუმენტები შემუშავებულია ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შესახებ შეთანხმებით (ხელმოწერილი 2014) გათვალიწინებული დირექტივების მოთხოვნების შესაბამისად.

ნარჩენების დაგეგმვის ეროვნული პოლიტიკა განსაზღვრულია, ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიითა 2016-2030 და ნარჩენების მართვის ეროვნული გეგმით (2016-2020).

მნიშვნელობა:
მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის მიზნით საქართველომ განსაზღვრა SDG ეროვნული პრიორიტეტები, თითოეული სექტორული ამოცანის შესრულება გაიწერა დროში. სავალდებულო გახდა ყველა დარგობრივი პოლიტიკის დოკუმენტში და სამოქმედო გეგმაში მდგრადი განვითარების მიზნებით გათვალისწინებული ინდიკატორების მისაღწევად საჭირო ღონისძიებების ასახავა.

ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა ქმნის ნარჩენების მართვის დაგეგმვის ჩარჩოს, თუ რა მიზნები და ამოცანები უნდა იქნეს გათვალიწინებული, ნარჩენების მართვის გეგმების შემუშავების პროცესში.

ამასთან, ნარჩენების მართვა წარმოადგენს „ნარჩენების შეგროვებას, დროებითი შენახვას, წინასწარი დამუშავებას, ტრანსპორტირებას, აღდგენასა და განთავსებას, ამ საქმიანობების, ღონისძიებებისა და ოპერაციების ზედამხედველობასა და ნარჩენების განთავსების ობიექტების შემდგომი მოვლას." (ნარჩენების მართვის კოდექსი)

ქვეყანა მიისწრაფვის ნარჩენების მართვის სისტემა შემუშავდეს საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გათვალიწინებით; ნარჩენების მართვას განხორციელდეს „ნარჩენების მართვის იერარქიის" მიხედვით, დაინერგოს ინტეგრირებული სისტემა (წყაროზე სეპარაცია, ნარჩენების ხელახლა გამოყენება, რეციკლირება და ა.შ), ყველა მოსახლისათვის ხელმისაწვდომი გახდეს დასუფთავების/ნარჩენების გატანის სერვისი, ეტაპობრივად დაიხუროს ყველა არსებული ნაგავსაყრელი, მოეწყოს თანამედროვე რეგიონული ნაგავსაყრელები და გადამტვირთავი სადგურები.

ესეები გადმოაგზავნეთ ელ. ფოსტის მისამართზე: orchisge@yahoo.com და მიუთითეთ თქვენი საკონტაქტო ინფორმაცია, უმაღლესი სასწავლებლის დასახელება სადაც სწავლობთ, ფაკულტეტი და კურსი. ნაშრომის გადმოგზავნის შემდეგ დაელოდეთ ჩვენგან ესეის მიღების დადასტურების შეტყობინებას.

გისურვებთ წარმატებებს!

პროექტს „დავიცვათ საქართველოს სისუფთავე" ახორციელებს არასამთავრობო ორგანიზაციათა კონსორციუმი: საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირი „ორქისი", დავიცვათ საქართველოს სისუფთავე და საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო, შვედეთის მთავრობის ფინანსური უზრუნველყოფით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით, საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიასთან და გარემოსდაცვითი საინფორმაციო და განათლების ცენტრთან თანამშრომლობით.

ტაშკენტის ქ.10ა, 0160, თბილისი , საქართველო
ტელ: (+995 32) 2385199; მობ.: (+ 995 595) 335699
ელ. ფოსტა: orchisge@yahoo.com
ვებ-გვერდი: http://www.orkisi.ge

Keep Georgia Tidy Project

3rd Essay Competition for High School Students on Environmental Issues launched!

With the financial support of the Government of Sweden and in the frames of the Keep Georgia Tidy Project, Georgian Society of Nature Explorers "Orchis" announces an Essay Competition on the theme of **"Georgia - Sustainable Development Goals and Related Challenges in Waste Management"** which aims to promote environmental protection and the Sustainable Development Goals as they are perceived by the youth and to increase their engagement.

The Competition is open to students of high schools.
The deadline for the submission of essays is June 30, 2021, 18:00. The winner will be known on 3 August 2021. Essays should comprise 5-7 pages.

Two winners (I and II) will be identified per theme in the frames of the Competition, which will be granted a monetary award comprising 500 GEL and 400 GEL respectively.

The headline of the essays are:
„Sustainable Development Goals and Related Challenges in Waste Management"
Or
"What Does the Sustainable Development Mean, Future We Wish"

The essay **„Sustainable Development Goals and Related Challenges in Waste Management"** should describe: challenges that the country faces in waste management to achieve the SDGs; how the sectoral policy document and action plan integrate measures that are needed to attain the targets defined for the SDGs; what actions should be fulfilled to establish an effective waste management system (for household waste) to ensure that the targets of the SDGs are achieved; what measures should be/ have been implemented; what beneficiary and/or adverse effects are already faced/ are expected. Please provide analysis including conclusion and recommendations.

The essay **"What Does the Sustainable Development Mean, Future We Wish"** should provide your opinion what the sustainable development is in terms of the waste management, how

Georgia can contribute to the achievement of the SDGs (in waste management sector), the role of the society, actions to be done, experience the developed countries in achieving the SDGs in terms of environmental protection, poverty alleviation, health, etc.

Actions to be fulfilled by the society to facilitate to designing/ establishing a sustainable waste management system. Proposing educational/ awareness raising materials tailored for a specific group of the society is welcomed.

The theme covers the following context:

Brief information. The concept of the Sustainable Development Goals (SDGs) was first introduced/ defined in 2012 at the United Nations Conference on Sustainable Development, also known as Rio+20.

On 25 September 2015, the United Nations adopted the resolution titled "Transforming our world: the 2030 Agenda for Sustainable Development", and approved 17 Sustainable Development Goals and the associated 169 targets. The representatives of the governments, legislative bodies, civil society and private sectors of the UN Member States as well as international organizations participated in the development of SDGs.

Georgia started the nationalization of the SDGs in 2015. The country has nationalized all 17 SDGs, 95 targets out of 169 and 215 indicators of 232 global indicators.

Current waste management legislation and sectoral strategic documents have been developed in accordance with the requirements of the EU directives indicated in the European Union-Georgia Association Agreement (signed in 2014).

The national waste planning policy is defined by the National Waste Management Strategy 2016-2030 and National Action Plan 2016-2020.

Significance:

To ensure the achievement of the SDGs, Georgia has defined the national priorities for the SDGs and defined time schedule for the fulfilment of each sectoral target. All sectoral policy documents and action plans are required to reflect measures needed to reach the targets defined for the SDGs.

The National Waste Management Strategy and Action Plan create a framework for the waste management planning as they define goals and objectives that the local authorities shall consider when preparing local level waste management plans.

The waste management comprises "the collection, temporary storage, pre-treatment, transportation, recovery and disposal of waste, and the supervision of such activities,

measures, operations and the after-care of waste disposal facilities" (the Waste Management Code).

The country seeks: to design the waste management system up to international best practices; to manage waste according to the waste hierarchy; to implement the integrated waste management system (source separation, reuse, recycling, etc.); to make clean-up/ waste disposal services available to whole population; to close all existing landfills gradually; and to arrange modern regional landfills and transfer stations.

Please send your essays on the following e-mail address: orchisge@yahoo.com indicating your contact information as well as the name of your high school. After sending of the essay, please wait for our confirmation of its receipt.

Good luck!

"Keep Georgia Tidy" Project is being implemented by the NGO Consortium: Georgian Society of Nature Explorers "Orchis", Keep Georgia Tidy and Greens Movement of Georgia/Friends of the Earth Georgia through funding of the Government of Sweden, with support of Georgian Ministries of Environmental Protection & Agriculture, Regional Development & Infrastructure, and Education, Science, Culture & Sport, and in cooperation with the Solid Waste Management Company of Georgia and Environmental information & Education Centre.

10a Tashkenti St., 0160, Tbilisi, Georgia
Tel: (+995 32) 2385199; mob: (+ 995 595) 335699
E-mail: orchisge@yahoo.com
web-page: http://www.orkisi.ge